პროლეტარეებო ყველა ქვეყნისა, შეერთდით!

საქართველოს ლელო

№ 190 (6245)

27 სექტემბერი, ოთხშაბათი. 1978 წ.

ფასი 3 კაპ.

საქართველოს სსრ მინისტრთა საბჭოსთან არსებული ფიზიკურ კულტურისა და სპორტის კომიტეტისა და პროფკავშირთა რესპუბლიკური საბჭოს ორგანო

ЛЕЛО Орган Комитета по физической культуре и спорту при Совете Министров ГССР и республиканского Совета профсоюзов

გაზეთი გამოდის 1934 წლის 13 აპრილიდან

ᲡᲐᲥᲐᲠᲗᲕᲔᲚᲝᲡ ᲓᲦᲔ ᲢᲐᲨᲙᲔᲜᲢᲨᲘ

ᲩᲕᲔᲜᲘ ᲡᲞᲔᲪᲘᲐᲚᲣᲠᲘ ᲙᲝᲠᲔᲡ�პᲝᲜᲓᲔᲜᲢᲘ Ე. ᲑᲔᲠᲘᲫᲕᲘᲚᲘ ᲢᲐᲨᲙᲔᲜᲢᲘᲓᲐᲜ ᲒᲕᲐᲢᲧᲝᲑᲘᲜᲔᲑᲡ:

ᲣᲖᲑᲔᲙᲔᲗᲘᲡ დედაქალაქი, ჩილანზარის რაიონი, სასწავლო-საწარმოო კომბინატი. საზეიმოდ გამოიყურება აქაურობა. ეზოში ალისფერყელსახვევიანი გოგო-ბიჭები ჩაწკრიკვებულან და ყვავილები ჩაუბღუჯავთ.

ელიან, მოუთმენლად ელიან. აი, ისინიც გამოჩდნენ, საქართველოს სპორტული დელეგაციის წევრები — ნორჩი სპორტსმენები, მწვრთნელები, ხელმძღვანელი მუშაკები. აგერ ბორის ძნელაძის სახელობის პიონერთა სასახლის ეიკალურ-ინსტრუმენტული ანსამბლი „მზიური“, თბილისელი გოგონების კონცერტმა უნდა დაამშვენოს მეგობრობის საღამო, რომელიც საქართველოს დღეს ეძღვნება. სპარტაკიადის მსვლელობისას ჩვენი ქვეყნის ყველა მოკავშირე რესპუბლიკის დღე აღინიშნება ტაშკენტში. 25 სექტემბერი საქართველოს დღეა.

მსპინძლები კეთილი ღიმილით, ტაშითა და თაიგულებით ეგებებიან სტუმრებს. აქ არიან პარტიის ჩილანზარის რაიკომის ხელმძღვანელი მუშაკები, კომკავშირის უზბეკეთის ცენტრალური კომიტეტის წარმომადგენლები, ამ რესპუბლიკის სპორტკომიტეტისა და სახალხო განათლების განყოფილების თანამშრომლები და, რა თქმა უნდა, საქართველოს დელეგაციის შეფები — უცხო ენათა და პედაგოგიური ინსტიტუტების სტუდენტები.

შეხვედრა დარბაზში გრძელდება. შეკრებილთ თავიანთ ხელოვნებას უჩვენებენ რაიონის მოსწავლეთა თვითმოქმედი კოლექტივები, ნორჩი ტანმოვარჯიშეები და აკრობატები. საღამოს წამყვანი შეკრებილთ ესაუბრება საქართველოს წარსულზე, ქართველ მეცნიერთა, კულტურის მუშაკთა და სპორტსმენთა მიღწევებზე, რესპუბლიკის შრომელთა სასახელო საქმეებზე.

საქართველოს წარგზავნილებს ესალმებიან და სამეხსოვრო საჩუქრებს გადასცემენ მოკავშირე რესპუბლიკების დელეგაციათა წარმომადგენლები, მასპინძელი ორგანიზაციების ხელმძღვანელები. მიკროფონთანაა საქართველოს სსრ განათლების მინისტრის მოადგილე ზურაბ ლომიძე. იგი მასპინძლებს მადლობას უხდის ასეთი საინტერესო და გულთბილი საღამოს მოწყობისთვის და ქართულ სუვენირებს გადასცემს მათ.

სცენაზეა „მზიური“. ქართველი გოგონების მიერ შესრულებულ ყოველ სიმღერას შეკრებილები ტაშითა და ოვაციებით ხვდებიან. საღამო დასასრულს უახლოვდება, სტუმარ-მასპინძელი ერთმანეთს ემშვიდობება.

საქართველოს დღე ახალი გამარჯვებით აღნიშნეს ჩვენმა ფეხბურთელებმა. 25 სექტემბერს ისინი უკრაინელ თანატოლებს ხვდებოდნენ. ეს იყო ფინალური ტურნირის პირველი მატჩი. მეტოქეთა ძალისმიერ თამაშს ქართველმა სპორტსმენებმა ტექნიკა და კოლექტივიზმი დაუპირისპირეს. პირველ ტაიმში ვერც ერთმა მხარემ ვერ მიაღწია უპირატესობის. შესვენების შემდეგ ჩვენი გუნდი გადამწყვეტ შტურმზე გადავიდა და 55-ე წუთზე დ. მეშკოვმა მეტოქის კარში ბურთიც გაიტანა. 1:0 — ასე დამთავრდა ეს შეხვედრა.

იმავე დღეს ჩატარებული სხვა ფინალური მატჩები ასე დამთავრდა: რსფსრ — სომხეთი — 1:0, უზბეკეთი — ლენინგრადი — 1:0.

დღეს ჩვენი ფეხბურთელები სომხეთის გუნდთან ისაპარეზებენ.

გაიმართა კალათბურთელთა შეჯიბრების უკანასკნელი, მეხუთე ტურის შეხვედრები. ჩვენმა ჭაბუკებმა დაამარცხეს სომხეთის ნაკრები — 97:62. გოგონებმა კი თურქმენეთის კოლექტივი — 89:66.

წარმატებას მიაღწიეს ფრენბურთელებმაც. გოგონათა გუნდმა დაამარცხა უზბეკეთის კოლექტივი — 3:2, ჭაბუკებმა კი ლენინგრადის ნაკრები — 3:1.

მოეწყო მოჭადრაკეთა ფინალური შეჯიბრების მეორე ტური. საქართველოს მოჭადრაკეები ლატვიის გუნდთან შეხვედრაში წინ არიან — 3,5:2,5 (ორი პარტია გადაიდო).

გუშინ გაიმართა კლასიკური სტილის მოჭიდავეთა ფინალური შეხვედრები და განაწილდა გუნდური აღგილები. საქართველოს ნაკრები 263 ქულით VI აღგილზეა. უძლიერესი იყო რსფსრ-ს გუნდი (3861 ქულა).

75 კილომეტრზე გუნდური რბოლით დაიწყო ველოსიპედისტთა შეჯიბრება. ცუდად გამოვიდა საქართველოს კვარტეტი. ამ დისტანციის გავლას მან 1:53.57,59 მოანდომა და XV აღგილი დაიკავა. გაიმარჯვეს უზბეკეთის ველოსიპედისტებმა (1:47.51,39).

ᲤᲠᲔᲜᲑᲣᲠᲗᲘ

ᲓᲦᲔᲡ ᲡᲐᲘᲜᲢᲔᲠᲔᲡᲝ ᲛᲐᲢᲩᲘᲐ: ᲡᲡᲠ ᲙᲐᲕᲨᲘᲠᲘ — ᲘᲢᲐᲚᲘᲐ

რომის ოლიმპიურ სპორტის სასახლეში გრძელდება ფრენბურთელ ვაჟთა გუნდების მსოფლიო ჩემპიონატის ნახევარფინალური ტურნირები. ის, თუ რა დიდი მნიშვნელობა აქვს „საკუთარ კედლებს“, ამ ტურნირმა ერთხელ კიდევ დაადასტურა:

მასპინძელ ფრენბურთელთა ყველაზე დიდი წარმატება მსოფლიო ჩემპიონატებში იყო მერვე ადგილი, რომელიც „სკუადრა აძურამ“ 1949 წელს მოიპოვა. ამჯერად იტალიელი ფრენბურთელები შესანიშნავად გამოდიან, რაშიც მათ დიდ დახმარებას უწევს გულშემატკივართა მხარდაჭერა.

ჯერ კიდევ წინასწარ ტურნირში, უდინეში ასპარეზობისას ადგილობრივი გულშემატკივრები ისე მხურვალედ უჭერდნენ მხარს თავიანთი ქვეყნის ნაკრებს, რომ იტალიელები თითქმის შეუძლებლის დაძლევას ახერხებდნენ და ნახევარფინალშიც გავიდნენ.

რომში იმ დროს, როცა მოედანზე მასპინძელთა გუნდია, პირდაპირ საოცრება ხდება, ათასობით მაყურებლის გამუდმებულ ღრიანცელში მსჯელობის სასტვენი არ ისმის, ამიტომაც ახლინი იძულებული არიან ყვესტების ენის მიმართონ.

იტალიისა და ბრაზილიის გუნდების მატჩი რამდენჯერმე შეწყდა. მატჩი შუალამემდე გაგრძელდა და იტალიელების გამარჯვებით დამთავრდა — 3:2.

მეორე ტურში საბჭოთა ნაკრების მეტოქე იყო ბულგარეთის გუნდი. ჩვენებმა გაიმარჯვეს — 3:1 (15:7, 15:6, 7:15, 15:8).

მეორე ქვეჯგუფში შეხვედრები ასე დამთავრდა: პოლონეთი — იაპონია — 3:2, კუბა — ჩეხოსლოვაკია 3:2.

დღეს, 27 სექტემბერს ნახევარფინალური ტურნირის ბოლო შეხვედრებია. საბჭოთა ნაკრების მეტოქენი სწორედ იტალიელები იქნებიან.

ᲕᲔᲚᲝᲡᲞᲝᲠᲢᲘ

სიმფეროპოლში სტარტი აიღო ჩვენი ქვეყნის საუბილეო მრავალდღიანმა ველოსრბოლამ „ბოლი ზეთ „სოციალისტინესკაია ინდუსტრიის“ პრიზზე. ამ შეჯიბრებაში სსრ კავშირის ჩემპიონატის მედლებიც თამაშდება. მონაწილეებმა 1500 კილომეტრი უნდა გაიარონ.

ასპარეზობა ქალაქის ცენტრალურ ქუჩებში 4,6 კილომეტრზე ინდივიდუალური რბოლით დაიწყო. 96 სპორტსმენს შორის ყველაზე სწრაფი აღმოჩნდა მონაწილის ოლიმპიადის ჩემპიონი, ტარტუელი ა. პაკუსი — 5.23,65. მან წამით აჯობა მშვიდობის წლევანდელ რბოლაში გამარჯვებულ ა. ავერინს (ყუბანიშვილი).

მეორე ეტაპზე, რომელიც ქალაქის ქუჩებში გაიმართა და 137 კილომეტრს უდრიდა, თავიდან კიეველი ნ. მერკოტანი, ტარტუელი ვ. ოიზეი, ყუბანიშვილი ს. რეპინი და კიშინიოველი ა. პლიუშკინი დაწინაურდნენ. ისინი ერთბაზ მეტოქეებს ორი წუთითაც ასწრებდნენ, მაგრამ მე-80 კილომეტრიდან მთავარმა ჯგუფმა დაწინაურება შეძლო. საბოლოოდ იმარჯვა რ. გალიალეტდინოვმა (ყუბანიშვილი) — 3:07.10. იგი გახდა რბოლის ლიდერიც. გუნდურ ჩათვლაში წინ არიან რსფსრ-ს სპორტსმენები.

ᲩᲝᲒᲑᲣᲠᲗᲘ

მეტრეველი თუ ერეკლეული კაჭალიტოლა

ᲓᲝᲜᲔᲪᲙᲘ, სპორტსახოგადოება „ლოკომოტივის“ კორტებზე დასასრულს უახლოვდება სსრ კავშირის 47-ე პირადი ჩემპიონატი ჩოგბურთში, რომელშიც 64 ქალი და 48 ვაჟი გამოდის.

ჩვენ უკვე ვიუწყებოდით ახალგაზრდა თბილისელი სპორტსმენის გ. ელერდაშვილის წარმატებაზე, რაც ტურნირის მთავარ სენსაციად იქნა მიჩნეული. უნდა ითქვას, რომ ამის შემდეგ დონეცკის კორტებზე უკვე აღარ იყო მოულოდნელობანი და ყველაფერი, ასე ვთქვათ, ლოგიკის შესაბამისად ვითარდებოდა.

ვაჟთა ტურნირის ფინალში, როგორც მოსალოდნელი იყო, გავიდნენ ჩვენი ქვეყნის პირველი და მეორე ჩოგანი — თბილისელები ალექსანდრე მეტრეველი და თეიმურაზ კაკულია. აქვე უნდა ითქვას, რომ თუ ა. მეტრეველმა ნახევარფინალში ადვილად სძლია დონეცკელ ა. კოლიასინს (6:4, 6:2, 6:3), თ. კაკულიას ერთობ გაუძნელდა მასპინძელთა ახალგაზრდა ჩოგბურთელის, 21 წლის სტუდენტის ი. ფილევის დამარცხება. ეს მატჩი... ორი დღე გრძელდებოდა. პირველ დღეს იგი გადაადგა დაბინდების გამო, როგორც მოჭადრაკეები ამბობენ, თანაბარ პოზიციაში — მეტოქეებმა თითო პარტია მოიგეს. მეორე დღეს დავა კვლავ დაძაბული იყო, მიგრამ ბოლოს და ბოლოს გამოცდილებამ მაინც იჩინა თავი. გაიმარჯვა თ. კაკულიამ — 4:6, 6:2, 6:3, 3:6, 6:4.

ასევე მოხდა ქალთა ერთეულთა ტურნირშიც. მოსკოველმა ნ. ჩმირიოვამ ნახევარფინალში დამაჯერებლად მოუგო დონეცკელ ე. ელისეევაოს — 6:3, 6:1, ხოლო დედაქალაქელმა ჩოგბურთელმა ე. გრანატუროვამ დაძაბულ ორთაბრძოლაში გამოსტაცა „ფინალური სგზური“ ქვეყნის ეჭს-ჩემპიონს, კიეველ გ. ბაკშეევას — 6:3, 3:6, 6:4.

ᲬᲧᲐᲠᲑᲣᲠᲗᲘ

ᲡᲐᲛᲮᲔᲓᲠᲝ-საზღვაო ფლოტის ცენტრალური სპორტული კლუბის წყალბურთელებმა შეინარჩუნეს სსრ კავშირის თასი. მოსკოვში გაშართული ფინალური ტურნირის დასკვნით დღეს მეზღვაურებმა ძნელ ბრძოლაში დაამარცხეს ალმა-ათის დინამოელები — 6:5. ოთხთა შეჯიბრებაში მეორე აღგილზე გავიდა კიევის „დინამო“, რომელმაც ასევეთვე ინგარიშით ზოუგო გადამწყვეტი მატჩი ხარკოველ რკინიგზელებს.

ᲛᲔᲓᲚᲔᲑᲐᲛᲓᲔ 480 ᲙᲘᲚᲝᲛᲔᲢᲠᲘᲐ

ᲒᲣᲨᲘᲜᲬᲘᲜ თბილისის ცენტრალურ ველოდრომზე სტარტი აიღო საკავშირო ჩემპიონატმა ექვსდღიან წყვილთა რბოლასა და ტანდემებით ასპარეზობაში. ექვსდღიანი რბოლის მონაწილეებს სულ 1200 წრე აქვთ გასაველი, რაც 480 კილომეტრს უდრის. ამ მარათონულ შეჯიბრებაში უძლიერესნი მიიღებენ ოქროს, ვერცხლისა და ბრინჯაოს მედლებს, ხოლო გუშინ მედლები გაითამაშეს ტანდემებით მოასპარეზეებმა.

მაგრამ შეჯიბრების პროგრამა ამ ორი სახეობით როდი ამოიწურება. ყოველდღე ველოდრომზე გაითამაშდება პირველობები სპრინტში, გამოდევნებით რბოლებსა და სხვა სახეობებში.

ტანდემებით სპრინტერული რბოლის ნახევარფინალში ოთხი უძლიერესი წყვილი გავიდა. მათ შორის ტულელი ძმების ვიქტორ და სერგეი კოპილოვების (რსფსრ, შეიარაღებული ძალები) დუეტიც იყო. სპეციალისტებიც გამარჯვების მთავარ პრეტენდენტებად სწორედ ამ საერთაშორისო კლასის სპორტის ოსტატებს თვლიდნენ.

მართლაც, ნახევარფინალში კოპილოვებს არ გასჭირვებიათ ლენინგრადელი არმიელების ა. ტომბერგისა და ი. ეგოროვის დამარცხება — ძმებმა ორივე ცდა მოიგეს.

მეორე ნახევარფინალში კი სამი ცდა გახდა საჭირო, რომ ვ. ბულგაკოვსა და ვ. ალექსეევს გადამწყვეტი ბრძოლების უფლება მიეღოთ.

ფინალში კოპილოვებმა არა მარტო გამარჯვება იზეიმეს, არამედ დღის საუკეთესო შედეგიც აჩვენეს — 200 მეტრი 10,3 წამში დაფარეს, მათ გადაეცათ ოქროს მედლები. II აღგილზეა ბულგაკოვ-ალექსეევის დუეტი, III — კარპუშინი და ხრაბოვი.

• • •

სურათზე: ტანდემებით რბოლის მომენტი.

ა. კოტორაშვილის ფოტო.



ზრუნვა არ დაუკლიათ

მუდ კომპლექსის მრავალჭიდში საკავშირო პირველობა — „ზაბეთ „კომსომოლსკაია პრავდის“ პრიზების გათამაშება მტკიცედ დამკვიდრდა სპორტღონისძიებათა კალენდარში. წლეულს ეს შეჯიბრება მეხუთედ უნდა გაიმართოს, მეხუთედ უნდა შემოწმდეს სად როგორ უმუშავიათ, როგორ შეიცვალა რესპუბლიკების, მოსკოვისა და ლენინგრადის გუნდების ძალთა შეფარდება.

როგორც ცნობილია, ფინალური ტურნირისთვის მზადება რამდენიმე ეტაპისგან შედგება — შიდასაკოლექტივო შეჯიბრებებს რაიონული და საქალაქო პირველობები მოსდევს, შემდეგ ეწყობა ზონალური ტურნირები, რესპუბლიკური ფინალური ასპარეზობა და ბოლოს საკავშირო სტარტები. ეს ყველაფერი ხელს უწყობს კომპლექსის უფრო მაღალ დონეზე აყვანასა და ძლიერი ნაკრები კოლექტივის დაკომპლექტებას.

ჩვენს რესპუბლიკაში კარგა ხანია I და II ეტაპის შეჯიბრებები დამთავრდა. ზონალური ტურნირებიც დასასრულს უახლოვდება. ამ წერილში სწორედ ერთ-ერთი ზონალური ასპარეზობის შედეგებზე გვეუბნება საუბარი. იგი ჭიათურაში გაიმართა. მაღაროელთა ქალაქში გამარჯვებისთვის საბრძოლველად შეგროვდნენ ბოლნისის, ზესტაფონის, თერჯოლის, საჩხერის, ორჯონიკიძის, ცაგერისა და მასპინძელთა საუკეთესო ძალები.

სარბიელზე გამოსულ სპორტსმენთა უმეტესობა წინა წლებთან შედარებით დამაკმაყოფილებლად იყო მომზადებული. ეს განსაკუთრებით ქ. ჭიათურისა და ორჯონიკიძის რაიონის გუნდების წევრებზე ითქმის, ამ ორი კოლექტივის მრავალჭიდელებმა ყველა, ხუთივე საფეხურზე მიიღეს ჩათვლები და საბოლოოდ გუნდური ადგილებიც ამავე თანმიმდევრობით დაიკავეს. ჭიათურელმა მრავალჭიდელებმა 1341 ქულა მოაგროვეს, ორჯონიკიძელებმა — 775. III ადგილზე გავიდა ზესტაფონის რაიონის ნაკრები (539 ქულა), რომლის სპორტსმენები II და V საფეხურის მრავალჭიდელთა შეჯიბრებაში შეუფასებელნი დარჩნენ.

V საფეხურის ნიშნოსანთა შეჯიბრება მარტო ზესტაფონელების „აქილევსის ქუსლი“ როდი იყო, აქ ტურნირის ბოლომდე ორი მონაწილე ვაჟი — მ. გრიგალაშვილი (ორჯონიკიძე, 80 ქულა) და ჭიათურელი დ. კაპანაძე (75) მივიდნენ. დანარჩენი 12 სპორტსმენი სხვადასხვა სახეობაში დაბალი შედეგის გამო გამოეთიშა ტურნირს.

იქნებ ამ ფაქტზე არაფერი გვითქვა, რომ გუნდებს II საფეხურის შშდ მრავალჭიდელებში უკეთ ჰქონდათ მდგომარეობა. აქ ხომ მხოლოდ მოსწავლეები გამოდიან, მათ კი სკოლებში რეგულარული მეცადინეობის გაცილებით უკეთესი პირობები აქვთ, ვიდრე, მაგალითად, იმავე V საფეხურის ნიშნოსნებს — მუშა-მოსამსახურეებსა და კოლმეურნეებს. II საფეხურის ნიშნოსანთა ტურნირში ხელმოცარული დარჩნენ ბოლნისის, თერჯოლის, ზესტაფონისა და ცაგერის წარმომადგენლები. ჭიათურისა და საჩხერის გუნდებიდან მოთხოვნები ბიჭებმაც და გოგონებმაც შეასრულეს. ორივეგან მასპინძლებმა — გ. გაფრინდაშვილმა (82 ქულა) და ფ. ბიწაძემ (63) გაიმარჯვეს, ხოლო საჩხერელები ა. სარალიძე (60) და მ. ზაბახიძე (32) II ადგილებზე გავიდნენ.

ბიჭების შეჯიბრებაში მესამე პრიზიორმა დ. გოგოლაძემ (ორჯონიკიძე) კი 55 ქულას მოუყარა თავი, დანარჩენი 9 მონაწილე ჩოგბურთის ბურთის ტყორცნაში საწყისი ნორმატივის შეუსრულებლობისთვის გამოეთიშა ტურნირს.

თერჯოლის, ბოლნისისა და ცაგერის გუნდებში კარგი მომზადებით ვერც IV საფეხურის მეორე ასაკობრივი ჯგუფის ნიშნოსნები დაიკადიან. ამ ჯგუფში გუნდებს 3-3 ვაჟი და 2-2 ქალი გამოჰყავდათ. სულ 35 სპორტსმენი შეგროვდა. პირველმა სახეობამ — 100 მეტრზე რბენამ მაყურებლებში გაგზავნა მონაწილეთა ნახევარი — 17, სროლის შემდეგ მათი რიგები კიდევ ოთხმა შეავსო, საბოლოოდ შეჯიბრება ცხრა სპორტსმენმა დაამთავრა. ვაჟებში სამივე საპრიზო ადგილი მასპინძლებმა მოიპოვეს: ა. აბაშიძემ 91 ქულა მოაგროვა, გ. ცუხიშვილმა — 78, ხოლო გ. მაისურაძემ — 73. ქალებში კი ასპარეზობა მარტო ნ. ვარდოსანიძემ (ჭიათურა) დაამთავრა — 101 ქულა.

მხოლოდ I, III და IV საფეხურის პირველი ასაკობრივი ჯგუფის ნიშნოსანთა შეჯიბრება იყო, რომლებშიც [illegible] V. ტაბატაძემ 119 ქულას მოუყარა თავი, ხოლო გოგონებში ლ. ზანგორაშვილმა (ორივე — ჭიათურა) 106 მიიღო და გამარჯვებაც მათ დარჩათ. III საფეხურზე ყველას აჯობეს: ვაჟთა შორის — ჭიათურელმა ლ. პორლადავსკიმ (92 ქულა), ქალებში — თერჯოლელმა დ. ფორჩხიძემ — 93. IV საფეხურის პირველ ასაკობრივ ჯგუფში უძლიერესნი იყვნენ ა. აბაშიძე (ჭიათურა) — 119 ქულა და თ. გორგაძე (ზესტაფონი) — 84.

ჭიათურის ორგანიზაციებისა და მსაჯთა კოლეგიის (მთავარი მსაჯი, რესპუბლიკური კატეგორიის მსაჯი ბ. აგრანატი) სასახელოდ უნდა ითქვას, რომ მათ უზრუნველყვეს ზონალური ასპარეზობის მაღალ დონეზე ჩატარება. შეჯიბრების საორგანიზაციო კომიტეტმა კომკავშირის ჭიათურის საქალაქო კომიტეტის მეორე მდივნის მ. ყიფშიძის თავმჯდომარეობით დროულად გაატარა საჭირო ღონისძიებანი. მონაწილე გუნდებს შეფობდნენ ქალაქის სკოლები. ბაზები კარგად იყო მოწყობილი და გაფორმებული.

ჯ. ბარათაშვილი.

საქართველოს ზონალურ პირველობაზე

●

რესპუბლიკის პროფკავშირულ-კომკავშირული კროსი

კროსების მნიშვნელობა განუზომლად დიდია მძლეოსნური ტალანტების აღმოჩენის საქმეში. ბევრმა მორბენალმა თავისი სპორტული კარიერა სწორედ მძლეოსნობის ამ სახეობით დაიწყო. ამიტომაც არის რომ კროსები მარტო ჩვენში კი არა, ევროპის სხვა ქვეყნებშიც პოპულარული გახდა.

მძლეოსნური კროსების გამართვას სსრ კავშირში განსაკუთრებული ყურადღება ეთმობა — ყოველწლიურად ეწყობა სამი დიდი მასშტაბის შეჯიბრება — საკავშირო ჩემპიონატი, „პრავდის“ პრიზების გათამაშება და პროფკავშირულ-კომკავშირული კროსი. ყველა ეს ასპარეზობა სათავეს ფიზკულტურის კოლექტივებში იღებს, მერე იმართება სარაიონო, საქალაქო, რესპუბლიკური და ბოლოს საკავშირო შეჯიბრებები.

ერთი ასეთი ასპარეზობა — საქართველოს პროფკავშირულ-კომკავშირული კროსი ამ დღეებში თბილისში ჩატარდა. მასში სპორტსაზოგადოებების, საწარმოთა ფიზკულტურული კოლექტივებისა და სპორტკლუბების, უმაღლესი და საშუალო ტექნიკური სასწავლებლების 22 გუნდი მონაწილეობდა.

ეს თითქოს ცოტა როდია, მაგრამ მაინც, ბევრი სპორტკლუბის, საწარმოთა ფიზკულტურის კოლექტივის, ტექნიკუმისა და უმაღლესი სასწავლებლის გუნდები დარჩნენ მის მიღმა, ვინაიდან სპორტკლუბების გამგეობებმა, ფიზკულტურის კოლექტივების საბჭოებმა ან თავიანთი კროსების ჩატარება და გუნდების დაკომპლექტება ვერ უზრუნველყვეს, ან საქართველოს პროფსაბჭოსა და საქართველოს კომკავშირის ცენტრალური კომიტეტის ამ ერთობლივ და სასარგებლო ღონისძიებაში მონაწილეობას სხვა მიზეზით აარიდეს თავი — უფრო სწორად, ამით თავიანთი უმოქმედობა მიჩქმალეს.

რესპუბლიკაში თითქმის ორი ათეული უმაღლესი სასწავლებელია, გუნდები კი მხოლოდ ფიზკულტურის ინსტიტუტმა (110 ქულა), ცხინვალის პედინსტიტუტმა, (99), უნივერსიტეტმა (57) და პუშკინის სახელობის პედინსტიტუტმა (10) გამოიყვანეს და ადგილებიც ამ თანმიმდევრობით გაინაწილეს.

რითი სჯობს ცხინვალის ან თბილისის პედინსტიტუტები, მაგალითად, ქუთაისის, გორის, სოხუმის, ბათუმის, თელავის პედინსტიტუტებს, სოხუმის სუბტროპიკული მეურნეობის, თბილისის სასოფლო-სამეურნეო და ზოოტექნიკურ-საველტერინარო ინსტიტუტებს? სტუდენტთა შორის მასობრივ-ფიზკულტურული მუშაობის უკეთ დაყენებით, მძლეოსნობის განვითარებისთვის ზრუნვით.

სად გაქრა თბილისის რიგი ტექნიკუმების კარგი ტრადიციები? რატომ არ გამოიყვანეს გუნდები თბილისის პოლიტექნიკური, მანქანათმშენებლობის, რკინიგზის, საჰოთა ვაჭრობისა და სხვა ტექნიკუმებმა? (აღარას ვამბობთ რესპუბლიკის სხვა რაიონებისა და ქალაქების ტექნიკუმებზე). განა საქართველოში მხოლოდ საწარმოთა რვა სპორტკლუბია? თბილისში, ქუთაისში, სოხუმში, ბათუმში, გორში, ზუგდიდში, ცხინვალში... ბევრია მრავალათასიანი საწარმო, მაგრამ კროსში გამარჯვებისთვის მარტო „სინათლის“ (62 ქულა), „უშბას“ (55), „განთიადის“ (37), „ფეიქრის“ (27), „თბომავლის“ (19), „კოლხიდას“ (18), „მეგობრობის“ (11) და „ისნის“ (11) გუნდები იბრძოდნენ. მაშასადამე, სხვა კოლექტივებს ან შესაბამისმა სპორტსაზოგადოებათა საბჭოებმა არ შეატყობინეს ტურნირის შესახებ, ან იქაური ფიზკულტურის საბჭოები ფორმალურად არსებობენ.

საქართველოს პარტიულ-სამეურნეო აქტივის 1977 წლის იანვრის კრების შემდეგ კოლექტივებში ასე მუშაობა დანაშაულია. რესპუბლიკის ხელმძღვანელობა, საქართველოს სპორტკომიტეტი ყველაფერს აკეთებენ, რომ ფიზკულტურასა და სპორტში დაკარგული პოზიციები დავიბრუნოთ. სამწუხაროდ, ბევრი ორგანიზაციის ხელმძღვანელი ჯერ კიდევ ვერ უწევს კონტროლს მათი მშრომელთა გაჯანსაღებისთვის მოწოდებული ფიზკულტურის კოლექტივის საბჭოს საქმიანობას.

ამ კროსმა ერთხელ კიდევ დაადასტურა, რომ ნუბაყოფლობითი სპორტსაზოგადოებების გუნდებს, სპორტკლუბების სპორტსმენებს არ ძალუძთ მაღალი შედეგებისთვის ბრძოლა, ვერც ერთმა მონაწილემ ვერაფრით გამოიჩინა თავი. 1500 მეტრზე მორბენალ გოგონათა შეჯიბრებაში მძლეოსნებს აჯობა... აკადემიურ ნიჩბოსნობაში სსრ კავშირის ახალგაზრდული ნაკრების წევრმა ვ. კიაკერიაინენმა („განთიადი“). მან გაცილებით უკეთესი დრო (5.34,4) აჩვენა, ვიდრე მეორე პრიზიორმა მ. კალშიკოვამ, რომელიც ერთდროულად „სპარტაკისა“ და ფიზკულტურის ტექნიკუმის ღირსებას იცავდა — 5.43,2. მესამე ადგილზე გავიდა ცხინვალის პედინსტიტუტის სტუდენტი დ. ჯიოევა („ბურევესტნიკი“) — 5.44,3.

ძ ნ ე ლ

დისტანციაზე

2000 მეტრზე 18 ქალიშვილი ასპარეზობდა. თავიდანვე ლიდერობა ხელთ იგდო ცხინვალელმა სტუდენტმა მ. ჯიოევამ („ბურევესტნიკი“) და თითქმის 24 წამით ჩამოიტოვა თბილისის ინდუსტრიული ტექნიკუმის მოსწავლე კ. ეზიკიანი („კოლმეურნე“) — 8.04,0. ფინიშთან 17,5 წამის მერე მივიდა ე. მკრტჩიანი („კოლმეურნე“), რომელმაც III ადგილი დაიკავა.

ქალები 3000 მეტრზე დარბოდნენ. ტ. კორობკინის („სპარტაკი“, სპორტკლუბი „სინათლე“) მეტოქეობა ვერავინ გაუწია — 12.30,8. თანაგუნდელმა რ. ინდუაშვილმა მასთან 31,7 წამი წააგო. III ადგილზეა ვ. სუდავა („კოლმეურნე“, ინდუსტრიული ტექნიკუმი) — 13.30,0.

სხვა ტექნიკური შედეგები ასეთია: ჰაბუკები. 3000 მ. ო. სტრიჟანოვი („კოლმეურნე“, პირადი) — 10.13,3, თ. შალუკაშვილი („კოლმეურნე“) — 10.13,3, ი. მამედოვი („კოლმეურნე“, პირადი) — 10.42,7; **იუნიორები. 5000 მ.** ი. კოსიხი („ბურევესტნიკი“, ფიზკულტურის ინსტიტუტი) — 16.43,0, გ. გვარამაძე („კოლმეურნე“, ფიზკულტურის ინსტიტუტი) — 17,01,0, კ. ტოფუზიანი („კოლმეურნე“, პირადი) — 17.14,5; **ვაჟები. 8000 მ.** შ. ნადირაძე („კოლმეურნე“) — 26,06,0, ო. ბესედინი („ბურევესტნიკი“, ფიზკულტურის ინსტიტუტი) — 26.26,0, ნ. ბლუდოვი („კოლმეურნე“, პირადი) — 27.06,0.

— შედარებით დაბალი შედეგები იმის ბრალიცაა, რომ შეჯიბრება კროსისთვის უჩვეულო ტრასებზე ჩატარდა — მონაწილეები სტარტიდან ფინიშამდე ასფალტზე დარბოდნენ, — გვითხრეს მძლეოსნობის სპეციალისტებმა, სპორტის ოსტატმა ე. ლომთათიძემ და რესპუბლიკური კატეგორიის მსაჯმა ნ. გაგოშიძემ.

მართლაც, იქნებ, ესეც იყო მიზეზი, რომ ათამდე მონაწილემ რბოლა მიატოვა?

სპორტსაზოგადოებების გუნდურ ჩათვლაში სპრიზო ადგილებზე გავიდნენ: „ბურევესტნიკი“ — 167 ქულა, „კოლმეურნე“ — 163, „სპარტაკი“ — 148; ტექნიკუმებს შორის ადგილები ასე განაწილდა: ფიზკულტურის ტექნიკუმი — 126 ქულა, ინდუსტრიული ტექნიკუმი — 117, ბათუმის საზღვაო სასწავლებელი — 82.

ჯ. ქვარცხავა.

* * *

სურათზე: 3000 მეტრზე მორბენალი ქალები დისტანციაზე.

ო. გელაშვილის ფოტო.

მაია მოსიძის კარგი სტარტი

უკვე რამდენიმე დღეა ალმა-ათაში მიმდინარეობს ასუჯრიან შაშში სსრ კავშირის ქალთა IV ჩემპიონატის ფინალი, რომელმაც მსოფლიოს პირველობის საბჭოთა მონაწილეები უნდა შეარჩიოს.

ტურნირში 16 ცნობილი მოშაშე მონაწილეობს, მათ შორის არიან მსოფლიო ჩემპიონი ე. მიხაილოვსკაია (მოსკოვი), სსრ კავშირის შარშანდელი ჩემპიონი რ. ვიტკაუსკაიტე, ვიცე-ჩემპიონი ლ. ტრავინა (ორივე — ვილნიუსი) და საქართველოს ჩემპიონი 17 წლის მაია მოსიძე (თბილისი).

წარმატებით აიღო სტარტი თბილისელმა მოშაშემ. 6 ტურის შემდეგ მას 4,5 ქულა აქვს. მის აქტივშია სამი მოგება და ამდენივე ყაიმი. მაიამ დაამარცხა ვიტკაუსკაიტე და ყაიმს მიაღწია ტრავინასთან.

ჩემპიონატს ლიდერობს ლ. ტრავინა — 5 ქულა.

ᲨᲐᲨᲘ

ᲰᲐᲑᲣᲙᲗᲐ ᲐᲡᲞᲐᲠᲔᲖᲝᲜᲑᲐ

თბილისში, ჭადრაკის სასახლეში გრძელდება დედაქალაქის ჰაბუკ მოშაშეთა პირველობა, რომელშიც 34 მონაწილე გამოდის.

8 ტურის შემდეგ ლიდერობა ხელთ იგდო 22-ე საშუალო სკოლის მოსწავლემ მ. კანდელაკმა — 6 ქულა და 1 გადადებული პარტია. ლიდერს ნახევარი ქულით ჩამორჩებიან ვ. ბერეკაშვილი, ლ. კიკნაძე, თ. ბერიძე და მ. გაგნიძე. სათამაშო დარჩა სამი ტური.

ვ. კანდელაკი,

შეჯიბრების მთავარი მსაჯი.

ᲥᲣᲗᲐᲘᲡᲘᲡ ᲠᲘᲜᲒᲖᲔ

ქუთაისში გაიმართა რესპუბლიკის პირად-გუნდური პირველობა ჭიქაში ჰაბუკთა შორის, რომელშიც მონაწილეობდნენ „ბურევესტნიკის“, „შრომითი რეზერვების“, „განთიადის“, „დინამოს“, „სპარტაკისა“ და „კოლმეურნის“ ჰაბუკთა ნაკრები გუნდები. სამდღიანი ბრძოლის შემდეგ გუნდური ადგილები ასე განაწილდა: I — „განთიადი“ (მწვრთნელი, საქართველოს სსრ დამსახურებული მწვრთნელი ვ. ხატიაშვილი), II — „შრომითი რეზერვები“ (მწვრთნელი ს. ბერძენიშვილი), III — „სპარტაკი“ (მწვრთნელი კ. ბაბახანიდი).

წონითი კატეგორიების მიხედვით გაიმარჯვეს: ი. გაიბალიევმა („განთიადი“), ს. პეტროსიანმა („შრომითი რეზერვები“), ა. კრიკუნოვმა, ს. სარქისიანმა (ორივე — „განთიადი“), ი. კანონიკოვმა („ბურევესტნიკი“), ა. ნამუკიანმა („სპარტაკი“), ა. ბაქრაძემ, ბ. მამულაშვილმა (ორივე — „ბურევესტნიკი“) და მ. კიბილოვმა („განთიადი“). შეჯიბრების მთავარი მსაჯი იყო ნ. თორთლაძე (ქუთაისი).

ო. რაზმაძე.

დამარცხება საკუთარ მინდორზე

ქუთაისი. ცენტრალური სტადიონი. 26 სექტემბერი.

„ტორპედო“ (ქუთაისი) — „დინამო“ (მინსკი) 1:2 (0:1).

„ტორპედო“: მჭედლიძე, სვანაძე, გოგოლაძე, მელიქია, ფარულავა, თევზაძე, ბურკაძე, ქვირია (გვაძაბია), ფესტვენიძე (გაბიჩვაძე), შელია, ებანოიძე.

„დინამო“: კურბიკო, ბოროვსკი, შიშკინი, ბელოვი, შავეიკო, პროკპენკო, ბაიდაჩნი, პუდიშევი, სიტიკი (გურინოვიჩი), კურნენინი, რუმბუტისი (კორბუტი).

მსაჯი ნ. ოვსიანიკოვი (მოსკოვი).

დუბლიორები — 1:1.

ქუთაისის „ტორპედოს“ გულშემტკივრები მოელოდნენ, რომ დაბალ დონეზე ჩატარებული წინა მატჩის შემდეგ მათი გუნდი ახლა მაინც მთელი შესაძლებლობით იბრძოლებდა ლიგის ერთ-ერთ ლიდერთან და სრულად გამოავლენდა თავის შესაძლებლობებს, მაგრამ ეს ვარაუდი არ გამართლდა. მეტიც — ტორპედოელებმა კიდევ უფრო უარესად, ქაოტურად, უსისტემოდ და ყოველგვარი მონდომების გარეშე ჩაატარეს მატჩი. მინდორზე გამოსულ მოთამაშეთა შორის არ იყო არც ერთი, რომელიც საკუთარ თავზე აიღებდა ინიციატივას, აიყოლიებდა პარტნიორებს და გამოიჩენდა საბრძოლო განწყობილებას. პირიქით „ტორპედომ“ მთლიანად დათმო თამაში და მასთან ერთად ის ქულებიც, რომლებიც ძს ასე სჭირდება ახლა.

მართალია, დასაწყისში სტუმრების კართან გათამაშებული იქნა რამდენიმე კომბინაცია, ბურკაძემ აცილა კარს დარტყმა, შემდეგ დაკარგა მომენტი შელიამ, მაგრამ საკმარისი გახდა დინამოელთა საპასუხო შეტევა, რომ მას შედეგიც გამოეღო: სიტიკმა თავური დარტყმით გახსნა ანგარიში.

25-ე წუთზე მასპინძლებს მიეცათ საპასუხო გოლის გატანის შესაძლებლობა, როცა მსაჯმა მინსკელთა კარში დანიშნა პენალტი, მაგრამ დინამოელთა მეკარემ კურბიკომ შეძლო ბურთის მოგერიება.

კიდევ უფრო ნათელი გახდა მინსკელთა უპირატესობა და მასთან ერთად ტორპედოელთა უსუსურობა მეორე ტაიმში. დინამოელებმა პროკოპენკომ და ბოროვსკიმ ისარგებლეს მოპირდაპირე დაცვაში დაშვებული შეცდომებით და ანგარიში აიყვანეს 3:0-მდე. ტორპედოელთა მაქსიმუმი იყო ის, რომ 78-ე წუთზე სტუმრების კარი აღებული იქნა მხოლოდ ერთხელ (შელია).

შ. ნიჟარაძე.
(ტელეფონით, ჩვენი კორ.).

სხვა მატჩები

დამთავრდა ასეთი შედეგებით: „სპარტაკი“ (ივანო-ფრანკოვსკი) — „კარპატი“ (ლვოვი) 2:3, ასკ (დონის როსტოვი) — „ყალგირისი“ (ვილნიუსი) 0:0, „მეტალურგი“ (ზაპოროჟიე) — „დინამო“ (ლენინგრადი) 3:1, „თერგი“ (გროზნო) — „კრილია სოვეტოვი“ (კუიბიშევი) 0:3, „სპარტაკი“ (ორჯონიკიძე) — „ყუბანი“ (კრასნოდარი) 2:1, „ჰამირი“ (დუშანბე) — „კუზბასი“ (კემეროვო) 3:0, „კოლხოზჩი“ (აშხაბადი) — „ურალმაში“ (სვერდლოვსკი) 1:1.

ფეხბურთი

მეორე ლიგა

მოგვყავს II ლიგის IV ზონის ფეხბურთელთა გუნდების 35-ე ტურის შედეგები, რომლებიც ჩვენს გაზეთში არ იყო გამოქვეყნებული:

„ავტომობილისტი“ (ბაქო) — „არაზი“ (ნახიჩევანი) 3:1, „პროგრესი“ (კიროვაბადი) — „ხაზარი“ (ლენქორანი) — 1:2, „ტორპედო“ (ტოლიატი) — „ყარაბახი“ (სტეფანაკერტი) 0:0, „გასტელო“ (უფა) — „შირაკი“ (ლენინაკანი) 0:0, „ტურბინა“ (ნაბერეჟნიე ჩელნი) — „კოტაიკი“ (აბოვიანი) 1:0.

გათამაშების ცხრილი

მდგომარეობა 25 სექტემბრისთვის

	თ.	მ.	ფ.	წ.	ბ.	ქ.
„ზვეზდა“	36	21	8	7	56—27	50
„გურია“	36	17	9	10	63—39	43
„შირაკი“	36	16	11	9	60—35	43
„რუბინი“	36	16	10	10	49—37	42
„კოტაიკი“	36	18	4	14	48—46	40
„ავტომობ.“	36	17	6	13	51—49	40
„დრუჟბა“	36	17	5	14	46—37	39
„ტურბინა“	36	17	5	14	43—48	39
„დინამო“ ზ.	36	14	11	11	48—37	39
„ზენიტი“	36	13	13	10	49—40	39
„ტორპედო“	35	15	8	12	45—31	38
„გაზოვიკი“	35	14	8	13	47—42	36
„დინამო“ კრ.	36	14	7	15	48—42	35
„ურალმაში“	36	14	7	15	48—50	35
„გასტელო“	36	14	7	15	43—47	35
„დილა“	36	11	13	12	39—39	35
„ლოკომ.“	36	14	6	16	49—61	34
„დინამო“ ბ.	36	12	10	14	38—36	34
„დინამო“ ს.	36	13	7	16	50—54	33
„ყარაბახი“	35	12	9	14	36—36	33
ფიზკ. ინსტ.	35	8	13	14	27—38	29
„პროგრესი“	35	12	3	20	35—59	27
„ხაზარი“	36	9	5	22	29—61	23
„არაზი“	35	5	5	25	29—86	15

ვიტო მაჯიო: მსგავსი მეც მინდა შევქმნა

თბილისი. კინოს სახლი. იტალიის ეროვნული ოლიმპიური კომიტეტის სპორტული კინოს რეტროსპექტივა.

ეკრანზე ერთმანეთს ენაცვლება სხვადასხვა იტალიური სპორტული ფილმები. ყოველი ფირის დემონსტრაციის შემდეგ ტაში გაისმის...

რა იყო ეს, იტალიის სპორტულ კინოს ქართველი მაყურებლის მიერ აღიარება, თუ, უბრალოდ, სტუმართა პატივისცემის გამოხატულება.

ვფიქრობთ, ერთიც და მეორეც. ყოველი შემთხვევისთვის ამის გასარკვევად კინორეჟისორ მერაბ კოკოჩაშვილს ვთხოვეთ აზრი გამოეთქვა იტალიურ ფილმებზე, მაგრამ, ვიდრე მას დავუთმობდეთ სიტყვას, გვინდა შევჩერდეთ ფილმზე — „ფეხბურთი კოსტუმებით“, რომელიც, ჩვენი აზრით, განსაკუთრებით საინტერესო იყო.

სხვათა შორის, ამ ფილმით ვგებულობთ, რომ ფეხბურთის სამშობლო ინგლისი კი არა, როგორც ეს აღიარებულია, არამედ იტალიაა. ფილმში გადმოცემულია, თუ იტალიელთა წინაპარნი როგორ თამაშობდნენ ფეხბურთს.

ბუნებრივია, იმ შორეულ წლებში არ არსებობდა ფეხბურთის წესები, ამიტომაც, ძნელია გაარკვიოთ, რას თამაშობენ კოსტუმებში გამოწყობილი სხვადასხვა ასაკის მამაკაცები: ფეხბურთს, ხელბურთს, რეგბის თუ... ყოველ შემთხვევაში, ყველა ამ სახეობათა დამახასიათებელი ნიშნები უხვად მოიპოვება ფილმში. თამაში ხშირად გადადის ჭიდაობაში, მუშტი-კრივში. ერთი სიტყვით, „ფეხბურთი კოსტუმებით“ ყოველგვარი შელამაზების გარეშეა გადაღებული. უფრო ზუსტად, თვითონ თამაში.

საინტერესოა თამაშის წინ ფეხბურთელთა და მაყურებელთა სამზადისის ყურება, მატჩის წინ საზეიმო მსვლელობა...

ფილმი ფერადია. იგი გვაოცებს ფერთა საოცარი სიმრავლით. ამ მხრივ „ფეხბურთი კოსტუმებით“ კალეიდოსკოპს ან საზეიმო სვლას თუ შეიძლება შევადაროთ.

ახლა კი კოკოჩაშვილს დავუთმოთ სიტყვა:

— სამწუხაროდ, ყველა ფილმი არ მინახავს. რაც ვნახე, ამათზე სიამოვნებით მოგახსენებთ.

ჩვენი სტუმრების ფილმებიდან ირკვევა, რომ იტალიელები დიდ პოპულარიზაციას უწევენ სპორტის ეროვნულ სახეობებს. საოცარია იტალიელთა ესოდენ დიდი პატივისცემა სპორტის ეროვნული სახეობებისადმი. აი, სწორედ ამდენადაა საინტერესო ჩვენთვის მათი ფილმები. სპორტულ სანახაობებს ფილმებში ჭეშმარიტად დღესასწაულად წარმოგვიდგენენ. ეტყობა, ცხოვრებაშიც ასე ხდებოდა და ხდება, რაც კინოში პოულობს ასახვას. ამ მხრივ საინტერესოა „ფეხბურთი კოსტუმებით“ და „სიენას დოღი“.

ის ფაქტი, რომ სიენას ცხენოსანთა შეჯიბრებებს 70 ათასი მაყურებელი ესწრებოდა, ბევრს მეტყველებს.

ამასთან დაკავშირებით მინდა ვთქვა, რომ სპორტის ქართული ეროვნული სახეობები ლელო, ქართული ჭიდობა, ისინდი და სხვა კინოში ფართოდ ასახვას საჭიროებს, რათა საზოგადოებრიობის ინტერესი ამაღლდეს.

ჩვენთან წინათ იმართებოდა სხვადასხვა რელიგიური დღესასწაულები, რომლის პროგრამაში სპორტის ეროვნული სახეობებიც შედიოდა. ამ საკითხს კრიტიკულად უნდა მიეუდგეთ. მე არ ვქადაგებ რელიგიურ დღესასწაულებს, მაგრამ რადაც ფორმები კი უნდა გამოინახოს, რომ შეჯიბრებები სპორტის ეროვნულ სახეობებში ჭეშმარიტ დღესასწაულად მოგვევლინონ.

საინტერესო იყო ფერადი ფილმი „იაშჩენკოს მსოფლიო რეკორდი“, რომელიც მან სწორედ იტალიაში, დარბაზებისთვის დამყარა. ფილმში კარგადაა გადმოცემული ათლეტთა ბუნება სპორტულ ბრძოლაში, მათი განცდები. ფილმი უმღერის ადამიანის ფიზიკურ სილამაზეს. მარჩელინის „იაშჩენკოს მსოფლიო რეკორდს“ მაღალი პროფესიული ხელი ეტყობა.

და მაინც, ჩვენ გვინახავს ასეთი ფილმები.

სხვათა შორის, მარჩელინი ახლა გიორგი მდივნის სცენარის მიხედვით იღებს ფილმს მოსკოვის ოლიმპიურ თამაშებზე.

იტალიის სპორტული ფილმების ნახვისას კიდევ ერთხელ დავრწმუნდით, რომ მაშინ, როცა კინოს ბუნებრივად, როგორც მოყვარულები, ძალდატანების გარეშე იღებენ, პროდუქცია კარგი გამოდის. მაგრამ იქ, სადაც ფილმს დაკვეთით ქმნიან, უმალ სტანდარტი იწყება. სწორედ დაკვეთითაა გადაღებული „ოლიმპიური ფრთები“ და სწორედ ამიტომაა სტანდარტული.

დასასრულ მინდა ვთქვა, რომ ფილმების ასეთი გაცვლა-გამოცვლა ურთიერთსასარგებლოა კინოხელოვანთათვის. არ შეიძლება კაცი საკუთარ ნაჭუჭში ჩაიკეტოს. უნდა გავეცნოთ სახლვარგარეთის ფილმებს, შევხვდეთ მათ შემქმნელებს. კარგი იქნება, თუ ჩვენი კონტაქტები ტრადიციად იქცევა.

იტალიური ფილმების დემონსტრაციის შემდეგ მასპინძლებმა სტუმრებს ქართული სპორტული ფილმები უჩვენეს. სწორედ ამის შემდეგ გავესაუბრეთ იტალიის ოლიმპიური ცენტრის წარმომადგენელს, სპორტულ ჟურნალისტ ვიტო მაჯიოს, რომელიც სტუმართა დელეგაციას ხელმძღვანელობდა.

— მე სიცილიელი ვარ. — გვუუბნება ვიტო მაჯიო. — შევამჩნიე, რომ ჩვენ ერთნაირ კლიმატურ პირობებში ვცხოვრობთ. ორივეს გვაყვარს მშრომელი ხალხი. ხასიათებიც ერთმანეთს ემთხვევა. და თუ ეს ასეა, საინტერესოა ჩვენი ფილმების შედარებაც. იტალიისა და საქართველოს სპორტული ფილმების კვირეულის გამართვაზე ალბათ მოვილაპარაკებთ.

— თქვენ რამდენიმე ქართული სპორტული ფილმი ნახეთ, რომელმა დატოვა თქვენზე ყველაზე დიდი შთაბეჭდილება?

— კოკოჩაშვილის მხატვრულმა ფილმა „მწვერვალმა“. ეს ფილმი იქნებ იმიტომაც გამოვარჩიე, რომ მე თვითონ ალპინიზმის დიდი მოყვარული ვარ. ამას გარდა, იტალიაში ალპინიზმი დიდი პოპულარობით სარგებლობს. ეტყობა, თქვენთანაც ასეა, რადგან ჩვენ მეორე ფილმიც ვნახეთ მთამსვლელებზე — მიხეილ ხერგიანზე. „მწვერვალი“ ჩემთვის იმითაც იყო საინტერესო, რომ ჩემი თავისთვის ბევრჯერ მიმიცია შეკითხვა, თუ კი-

(დასასრული იხ. მე-4 გვ.).

* * *

სურათზე: იტალიის ეროვნული ოლიმპიური კომიტეტის სპორტული კინოს ცენტრის დელეგაციის წევრები: ე. პეტრუჩიო, დ. როსი, ა. ლიზი, ვ. მაჯიო და ჯ. დე მარტინი.

ჭადრაკი

მეცამეტე პარტია

გუშინწინ ბიბვინთაში ქალთა მსოფლიო პირველობაზე ნ. გაფრინდაშვილი — მ. ჩიბურდანიძის მატჩში მეცამეტე პარტია გათამაშდა. როგორც კიდეწყვეტილებით, ხუთათიანი ბრძოლის შემდეგ პარტია დაუთმავრებელი დარჩა. იგი ამოდიდო 42-ე სვლაზე.

აი, ამ პარტიის ჩანაწერი:

მ. ჩიბურდანიძე — ნ. გაფრინდაშვილი

უფიმცევის დაცვა

1. e4 d6 2. d4 Ბf6 3. Ბc3 g6 4. ᲑE3 c6 5. ᲚD2 Ბbd7 6. h3 ᲚC7 7. g3 b5 8. ᲑG2 b4 9. Ბd1 ᲑH8 10. Ბe2 ᲑG7 11. 0-0 0_0 12. b3 e5 13. c3 d5 14. ed Ბ:d5 15. cb ᲑA6 16. Ბ:d5 cd 17. Ბdc3 ᲚD6 18. b5 Ბ:b5 19. Ბ:b5 Ბ:b5 20. ᲑFe1 ᲚE6 21. Ბgh2 Ბf6 22. Ბg1 Ბe4 23. ᲚB4 ed 24. Ბf4 ᲚA6 25. f3 ᲑF2 26. a4 Ბc6 27. ᲚD2 ᲑD3 28. ᲚE2 Ბb7 29. ᲑED1 Ბ:f4 30. Ლ:A6 Ბ:A6 31. gf d3 32. ᲑAC1 ᲚE8 33. ᲑC5 ᲑE2+ 34. Ბ:e2 de 35. ᲑC:d5 ᲚD2 36. ᲑD1 ᲑE2 37. ᲑD7 a6 38. Ბg2 a5 39. Ბgf2 Ბa6 40. ᲑD8+ Ბf8 41. Ბa8 Ბb7

ᲰᲐᲠᲢᲘᲐ ᲒᲐᲓᲐᲘᲓᲝ.

გაფრინდაშვილმა მეთოხედ აირჩია უფიმცევის დაცვა, მაგრამ ამჯერად ჩიბურდანიძემ თავი აარიდა თეორიულ ბაგრძელებებს და ოგურები ორიგინალურად განათავსა. შეიქმნა რთული პოზიცია. ცენტრში პაიკების ენერგიული ცვლილი (მე-12 და მე-13 სვლები) გაფრინდაშვილმა გაამწვავა თამაში, მაგრამ მე-15 სვლით დაწყებული გეგმა მცდარი აღმოჩნდა. ჩიბურდანიძემ თითქოს ლოგიკას ეფუძნებული გაცვლით (მე-16 სვლა) ლოკთა უპირატესობა შეიძინა ლაბირის ფრთაზე. ამ უპირატესობის ლიკვიდაციის მიზნით გაფრინდაშვილმა გაბედული გადაწყვეტილება მიიღო: ხარისხი შესწირა. შემდგომი თამაშიც მძაფრად წარმართა. მეტოქენი ყოველთვის ზუსტად ვერ მოქმედებდნენ. ენდშპილში ბრძოლა ალბათ ყაიმით დამთავრებულიყო, თუმცა ბალს სიცხარე არ დაკლებია. პარტია გადაიდო ჩიბურდანიძის უპირატესობით.

ᲒᲣᲨᲘᲜ მოეწყო მეთორმეტე და მეცამეტე გადადებული პარტიების დამთავრება.

მეთორმეტე პარტიაში მხოლოდ ... სვლა გაკეთდა. კუთა გაცვლის შემდეგ ჩიბურდანიძემ მუდმივ ქიშით შეხვედრა ყაიმით დამთავრა. მეტოქენი დაზავდნენ ... სვლაზე.

ბოლო ტურის წინ

კვირას გაიმართა უმაღლესი ლიგის გუნდების საკავშირო პირველობის ფინალური ტურნირის ბოლოსწინა შეხვედრები, რომელმაც ლიდერთა შორის ერთგვარი გარკვეულობა შეიტანა. მოსკოვის სპორტკლუბ „ფილის“ გუნდმა კიევის „პოლიტეხნიკს“ უმასპინძლა, დაამარცხა იგი — 25:7 და წამყვან პოზიციებს ინარჩუნებს.

ძნელ ბრძოლაში იმარჯვა ჩემპიონობის მეორე პრეტენდენტმაც, კიევის „ავიატორმა“, რომელმაც მოსკოვში მოუგო „სლავას“ — 9:8. აღსანიშნავია, რომ კიეველები პირველ ტაიმს აგებდნენ — 3:4.

სულ სხვაგვარად წარიმართა თბილისელი და მოსკოველი რკინიგზელების დუელი. მასპინძლებმა მოსკოველმა რკინიგზელებმა, რომლებისთვისაც მატჩის შედეგს არსებითი მნიშვნელობა არ ჰქონდა, თავგამოდებით იბრძოლეს. ისინი ხშირად ხელიგნობდნენ და ხელჩართული ბრძოლებით ცდილობდნენ პრესტიჟის მატჩი (წინა ორ შეხვედრაში თბილისელებმა იმარჯვეს) თავიანთ სასარგებლოდ დაემთავრებინათ. საბოლოოდ მათ ის შესძლეს, რომ ქულა აიღეს — 3:3.

უკანასკნელი ტურის წინ, რომელიც 1 ოქტომბერს შედგება, გთამაშების ცხრილი ასე გამოიყურება:

	თ.	მ.	ფ.	წ.	ბ.	ქ.
„ფილი“	14	9	2	3	137—118	20
„ავიატორი“	14	8	3	3	184—113	19
„ლოკ.“ თბ.	14	7	4	3	183—130	18
„სლავა“	14	7	1	6	199—122	15
„ლოკ.“ მ.	14	4	2	8	107—139	10
„პოლიტეხ.“	14	1	0	13	106—294	2

რეგბი

თასიც, ჩემპიონოგაც...

ქუთაისში დამთავრდა საქართველოს პირველობა რეგბში ახალგაზრდულ გუნდებს შორის. ტურნირში მონაწილეობდნენ ადგილობრივი „სახლმშენის“, თბილისის სამედიცინო ინსტიტუტის, ჩოხატაურის „ლელოს“, ჭიათურის „იმერეთისა“ და საქართველოს წლევანდელი თასის მფლობელის — თბილისის პოლიტექნიკური ინსტიტუტის გუნდები.

მომავალმა ინჟინრებმა ყველა მეტოქე დაამარცხეს (ქუთაისელებთან იმარჯვეს ანგარიშით 35:16, შედინსტიტუტთან — 26:20, „ლელოსთან“ — 27:6 და „იმერეთთან“—62:0) და დამსახურებულად მოიპოვეს თანატოლთა შორის რესპუბლიკის ჩემპიონის სახელი.

* * *

სურათზე: საქართველოს პოლიტექნიკური ინსტიტუტის გუნდი. გ. დოლენჯაშვილის ტექსტი და ფოტო.

მერე განახლდა თამაში მეცამეტე პარტიაში. გაფრინდაშვილმა კვ დამთო თეორიების ორ გამსვლელ პაიკზე და მეტოქეს მოგების მისაღწევად დიდი სიძნელეები შეუქმნა. ზუსტი თამაშით ჩიბურდანიძემ შეძლო უპირატესობის რეალიზება და გაიმარჯვა.

ამრიგად, კვლავ ლიდერობს ჩიბურდანიძე ანგარიშით 7,5:5,5.

მეთოთხმეტე პარტია დღეს, 27 სექტემბერს უნდა გათამაშდეს.

მეოცე ყაიმი

ᲒᲣᲨᲘᲜ ბაგიოში ვაჟთა მსოფლიო პირველობაზე ა. კარპოვ — ვ. კორჩნოის მატჩში XXVI პარტია გათამაშდა. ცხარე ბრძოლა 27-ე სვლაზე ყაიმით დამთავრდა.

ისევ წინაა კარპოვი — 4:2 (20 ყაიმი).

XXVII პარტია ხვალ, 28 სექტემბერს უნდა შედგეს.

ვიტო მაჯიო: მსგავსი მეც მინდა შევქმნა

დასასრული

ნოში როგორც უნდა გადმოიცეს ალპინიზმის სირთულე. აქ მხოლოდ კინოს ცოდნა საკმარისი არაა. საჭიროა ალპინიზმის ცოდნაც. „მწვერვალიდან“ იტალიელი, რომ კოკოჩაშვილი კარგადაა ალპინიზმში გათვითცნობიერებული. მას და მის მეგობრებს დიდი ჯაფა დაადგებოდათ „მწვერვალის“ გადალახვისას. ალბათ მძლავრ ტელეობიექტივებსა და შეეულმფრენს იყენებდნენ. ფილმი კარგად მოგვითხრობს ადამიანის მიერ ადამიანის გატანაზე, ვაკაცობაზე, ალპინიზმის სირთულეზე... სასიამოვნო იყო რომ „მწვერვალს“ ჩვენს გვერდით კოკოჩაშვილიც ადევნებდა თვალს. იგი ფილმს ქართულიდან რუსულად თარგმნიდა, თარჯიმანი — რუსულიდან იტალიურად. ძალიან მომეწონა კანდელაკისა და სიხარულიძის ფილმი „ფეხბურთი უბურთოდ“. ამ ფილმში მოსახიბლა ფეხბურთელთა ფსიქოლოგიურმა მომენტმა, თუ რას გრძნობენ ისინი მოედანზე. იმდენად მომეწონა ამ ფილმის იდეა, მინდა მისი მსგავსი მეც შევქმნა. ერთობ საინტერესო გამოვა. საქმე იმაშია, რომ საბჭოთა სპორტსმენები ფრიად თავდაჭერილები არიან, სარბიელზე, შეიძლება ითქვას მკაცრად თავდაჭერილებიც კი. ჩვენთან კი, პირიქით. აი, ამიტომაც მგონია, რომ იტალიელებზე მსგავსი ფილმი ერთობ საინტერესო გამოვა. საერთოდ, 30 წელია სპორტულ ჟურნალისტიკას მივდევ. ამას გარდა, ტელევიზიისთვისაც ვმუშაობ. გადმოცემა დოკუმენტური სპორტული ტელეფილმები. აქედან კინოფილმებამდე ერთი ნაბიჯია. თუმცა, არც ისეა საქმე, როგორც ეს შეიძლება კაცს ერთი შეხედვით მოეჩვენოს. და მაინც, ვაპირებ გადავიღო კინოფილმი „ოლიმპიურ თამაშებზე“, სადაც გადმოცემული იქნება ოლიმპიური თამაშების ისტორია. ნაჩვენები იქნება საზოგადოების ფუნქცია სპორტში, ბავშვთა სპორტი...

— ყველაზე მეტად რა გიტაცებთ სპორტულ ფილმებში?

— იმ ფაქტებისა და მოვლენების ჩვენება, რასაც მაყურებელი ტრიბუნებიდან ზედაპირულად ხედავს, ან საერთოდ ვერ ამჩნევს. ამას გარდა, დიდ მნიშვნელობას ვანიჭებ სასწავლო ფილმებს.

— თქვენი ყველაზე დიდი შთაბეჭდილება, რომელიც თბილისში მიიღეთ.

— ორიოდე დღეში, ბუნებრივია, ბევრი რამ ვერ ვნახეთ. თუმცა, ერთთავად რაღაცას ვეთვალიერებდით. და მაინც, შთაბეჭდილებები ბევრია. ქართულ სპორტულ ფილმებზე მოგახსენებთ. ახლა კი, როგორც სპორტული ჟურნალისტი სპორტულ რეპორტიორს გეტყვით, რომ თქვენი სხვადასხვა სარბიელი დავთვალიერეთ. ძალიან მოგვეწონა ახალი საცურაო აუზების კომპლექსი, სანაპიროზე (იტალიელებს იმ დროისთვის ჯერ ნანახი არ ჰქონდათ „დინამოს“ სტადიონი და სპორტის სასახლე. ა. გ.). ჩვენი აზრით იგი ერთ-ერთი საუკეთესოა ევროპაში.

ა. გურასაშვილი.

ვ. ა. ზაალიშვილი

ეროვნული ტექნიკური ინსპექტორი

ოჯახმა ცხ. გადოგბრიობამ დიდი დანაკლისი განიცადა — 66 წლის ასაკში გარდაიცვალა საქართველოს დამსახურებული მასწავლებელი, სამამულო ომის ვეტერანი, რესპუბლიკური მნიშვნელობის პერსონალური პენსიონერი, სპორტის ოსტატი კონსტანტინე პავლეს ძე ზაალიშვილი.

კ. ზაალიშვილი დაიბადა კასპის რაიონის სოფ. იგოეთში. პედაგოგიური მოღვაწეობა 17 წლისამ დაიწყო ქ. ნახიჩევანში. 1930 წელს დაბრუნდა თბილისში და აქ დაამთავრა სამთვიანი ფიზკულტურის ინსტრუქტორის კურსები.

1932-1948 წლებში კ. ზაალიშვილი იყო საქართველოს სპორტულ ტანმოვარჯიშეთა ნაკრებ გუნდში და წარმატებით იცავდა რესპუბლიკის ღირსებას საკავშირო შეჯიბრებებში.

1938-1941 წლებში ფიზკულტურის მასწავლებელია თბილისის სახელმწიფო უნივერსიტეტში. შემდეგ იგი დიდი სამამულო ომის ფრონტებზე იბრძოდა მისი დაწყებიდან დამთავრებამდე, რის შემდეგ დაუბრუნდა თბილისის უნივერსიტეტს, სადაც 1956 წლამდე ემსახურებოდა სტუდენტთა ფიზადზრდას. 1953 წელს დაამთავრა ლენინის ორდენოსანი ცენტრალური სახელმწიფო ფიზკულტურის ინსტიტუტი, მოსკოვში. 1956 წლიდან მუშაობდა თბილისის 101-ე საშუალო სკოლაში, ფიზკულტურის ინსტიტუტში ტანვარჯიშის კათედრის უფროს მასწავლებლად. შეანასკვნელი ორი წლის მანძილზე მსახურობდა მე-80 პროფტექნიკური სასწავლებლის ფიზკულტურის მასწავლებლად.

კ. ზაალიშვილი დაჯილდოვებული იყო მთავრობის ორდენებითა და მედლებით.

შესანიშნავი პედაგოგისა და სპორტის დიდი ენთუზიასტის, კარგი ამხანაგის, ღირსეული მოქალაქის, ერთგული ამხანაგის სახელი მუდამ დარჩება მისი მეგობრებისა და მოწაფეების ხსოვნაში.

საქართველოს სსრ მინისტრთა საბჭოსთან არსებული ფიზიკური კულტურისა და სპორტის კომიტეტი, „შრომითი რეზერვების“ რესპუბლიკური ხაბჭო, სპორტული ტანვარჯიშის რესპუბლიკური ფედერაცია, საქართველოს სპორტის ვეტერანთა საბჭოს პრეზიდიუმი.

ორი დიდებული მატჩი

წინა წერილებში ჩვენ დავახასიათეთ კრივის ორი დიდი წარმომადგენელი. რა თქმა უნდა, მკითხველისთვის ინტერესმოკლებული არ იქნება მსოფლიოს აბსოლუტური ჩემპიონის ტიტულის ამ ორი მოცილის შეხვედრები. თავის დროზე ამ ორთაბრძოლებმა კრივის უთვალავი მაყურებელი მიიზიდა. წარმოგსახავთ ამ ორთაბრძოლათა სურათს.

საქართველოს კრივის ფედერაციის აგიტაციისა და პროპაგანდის კომისიის თავმჯდომარე ედიშერ ბიორკაძე.

ეს ორი ღირსშესანიშნავი შეხვედრა აღწერილი აქვთ თვით ტუნეის, მატჩების დამსწრე, გაზეთ „დეილი ექსპრესის“ მიმომხილველ ტრევორ ვინიალისა და კრივის ერთ-ერთ პირუთვნელ მეტიანეს კ. ნეპომნიაშჩის წიგნში „კრივი და მოკრივენი“.

ორივე მოკრივე საგლუდაგულოდ ეშზადებოდა ერთმანეთთან შესახვედრად. ეს განსაკუთრებით ითქმის ტუნეიზე, რომელმაც ამჯერადაც ზედმიწევნით შეისწავლა მეტოქე. იგი რა ხანი არ აცდენდა დემპსის შეხვედრებს, ნახულობდა კინოფირზე გადაღებულ მის ბრძოლებს. ამჯერად კი საწვრთნელ ბანაკში დემპსის სპარინგ-პარტნიორებიც მოიწვია. ტუნეიმ ფსიქოლოგიური ხერხებიც გამოიყენა, გაზეთებში წაიკითხავდით, — ტუნეი აცხადებს, დემპსის 2-3 რაუნდში ნოკაუტს ვაწვნევო...

დემპსი და ტუნეი ერთმანეთს პირველად შეხვდნენ ფილადელფიაში 1926 წლის 26 მაისს. მატჩს ესწრებოდა 145 660 მაყურებელი. ტუნეი ფერმკრთალი ჩანდა, იგი წვრს — „ზოგიერთებს ეგონათ შიშისაგან ვიყავი ფერგაცრეცილი. ამის მიზეზი კი სხვა იყო, თვითმფრინაგით მგზავრობამ მაწყინა. მე ფილადელფიაში მხოლოდ მატჩის დღეს ჩამოვედი, იმის საჩვენებლად, რომ დიდად არაფრად მიმაჩნდა ეს შეხვედრა“.

ტუნეი რინგზე პირველი გამოვიდა. და აი, მალე საოცრო ღრუბელივით გამოჩნდა გოროზი დემპსიც.

დაიწყო შეხვედრის პირველი რაუნდი. ტუნეიმ მსუბუქი დარტყმებით წამოიწყო ბრძოლა. ამით ფსიქოლოგიურად ზემოქმედებდა დემპსიზე, თავს ისე აჩვენებდა, თითქოს სიფრთხილის გამო გაურბოდა მას. ეს კი გამბრიახი ტუნეის აზრით მეტოქეს ჭარბ თვითრწმენას ჩაუნერგავდა და სიფხიზლეს მოუდუნებდა. წუთიც არ იყო მატჩის დასაწყისიდან გასული, რომ ტუნეი წაიბარა, მის თავს იატაკიდან ერთი მეტრი თოლა აშორებდა. ეს ფანდი გახლდათ. უეცრივ იგი შეიმართა და ძლერად შემოკრა დემპსის სახეში. სწორედ ამ დარტყმამ გადაწყვიტა მატჩის ბედი. მართალია დემპსი არ წაქცეულა, არც სიმხნეზე დაუკარგავს, იგი ჩვეულებისაებრ გამუდმებით უტევდა მეტოქეს, ისიც შეძლო მე-8 რაუნდში საშინელი დარტყმა გაეძვრინა ტუნეის დაცვაში, მაგრამ გამარჯვების სასწორი თავისკენ ვერა და ვერ გადახარა. მატჩი ქულებით მოიგო ტუნეიმ.

დემპსი უფლებამოსილი იყო მეორედ შეხვედროდა ტუნეის. შუალედში იგი შეებრძოლა მსოფლიო ჩემპიონობის ერთ-ერთ ძლიერ პრეტენდენტს ჯეკ შარკის, მოუგო მას ნოკაუტით და 1927 წლის 22 სექტემბერს კვლავ ავიდა რინგზე დიდი ტიტულის დასაბრუნებლად.

ამ მატჩზე უკვე 150000-მა მაყურებელმა მოიყარა თავი.

ტუნეი ამჯერადაც ვერ გრძნობდა თავს კარგად, ოღონდ ახლა უფრო სერიოზული მიზეზი ჰქონდა. მატჩის წინ, ვარჯიშის დროს მას თავით დაეჯახა სპარინგ-პარტნიორი და გასახდელში ტუნეიმ გრძნობა დაკარგა. იცოდა რა დემპსის მუშტების ძალა, ამ გონიერმა მოკრივემ მეტოქის მესეჯერს ლეო პ. ფლინს განუცხადა, რომ თუკი ერთ-ერთი მებრძოლი ძირს დაეცემოდა, მძლეველი უმალ უნდა გაბრუნებულიყო თავის კუთხეში. მსაჯს მხოლოდ ამის შემდეგ ეძლეოდა უფლება დაეწყო თვლა. ამ შეთანხმებამ მატჩის შედეგზე ერთობ დიდი ზეგავლენა მოახდინა.

შეხვედრის დასაწყისში რეფერიმ მეტოქეებს შეახსენა დათქმული პირობა და ბრძოლის დაწყების ნიშანი მისცა. შეხვედრა დაიწყო. ორივე მოკრივე ისწრაფოდა შეხვედრა ნოკაუტით დაემთავრებინა. იმ მატჩის დარტყმები თავისუფლად განაწილდებოდა ბარე ოც ჩვეულებრივ მატჩზე.

მე-4 რაუნდში ტუნეიმ თავში მოახვედრა დემპსის და დაარტყია. დემპსიმ ურუ დაცვის მიმართა და რაუნდის ბოლოს შეჭანდა კიდეც. მე-5 რაუნდი მაინც მხნედ დაიწყო. მე-6 რაუნდში კლინჩის დროს ტუნეი ღებულობს „საკურდღლე დარტყმებს“. (ეურდღელს კლავენ კეფაში დარტყმით). დემპსის სიფიცხის და არა სიფრაგის გამო ზოგჯერ სჩვეოდა ხოლმე ამგვარი უწესრიგობა. მე-7 რაუნდში დემპსი წაგაგდა მძვინვარე ლომს. მან შემხვდური დარტყმა (ეროსი) აჯახა მეტოქეს სახეში, მერე ურტყამს მარცხენა ჰუკს ყბაში. ტუნეი რინგის თოკებს მიასკდება, ამასობაში მას კვლავ ხვდება დემპსის მარცხენა ჰუკი, ტუნეი ისევ თოკებზეა მიგდებული, დემპსი მარჯვენას აძგერებს ყბაში და ვიდრე ტუნეი თოკებიდან იატაკზე ჩაცურდება, დემპსი ზედიზედ მიაყრის სამ დარტყმას: მარჯვენა, მარცხენა, და კვლავ მარჯვენას მოუნაცვლებს. „სოულჯერ ფილდის“ არენა სულს ნაბავს. ტუნეი იატაკზეა. 5 წამი დასჭირდა რეფერის, ვიდრე ფიცხ დემპსის თავდაჭერილობიც კი. ჩვენთან კი, პირიქით. აი, ამიტომაც მგონია, რომ იტალიელებზე მსგავსი ფილმი ერთობ საინტერესო გამოვა. საერთოდ, 30 წელია სპორტულ ჟურნალისტიკას მივდევ. ამას გარდა, ტელევიზიისთვისაც ვმუშაობ. გადმოცემა დოკუმენტური სპორტული ტელეფილმები. აქედან კინოფილმებამდე ერთი ნაბიჯია. თუმცა, არც ისეა საქმე, როგორც ეს შეიძლება კაცს ერთი შეხედვით მოეჩვენოს. და მაინც, ვაპირებ გადავიღო კინოფილმი „ოლიმპიურ თამაშებზე“, სადაც გადმოცემული იქნება ოლიმპიური თამაშების ისტორია. ნაჩვენები იქნება საზოგადოების ფუნქცია სპორტში, ბავშვთა სპორტი...

— ყველაზე მეტად რა გიტაცებთ სპორტულ ფილმებში?

— იმ ფაქტებისა და მოვლენების ჩვენება, რასაც მაყურებელი ტრიბუნებიდან ზედაპირულად ხედავს, ან საერთოდ ვერ ამჩნევს. ამას გარდა, დიდ მნიშვნელობას ვანიჭებ სასწავლო ფილმებს.

— თქვენი ყველაზე დიდი შთაბეჭდილება, რომელიც თბილისში მიიღეთ.

— ორიოდე დღეში, ბუნებრივია, ბევრი რამ ვერ ვნახეთ. თუმცა, ერთთავად რაღაცას ვეთვალიერებდით. და მაინც, შთაბეჭდილებები ბევრია. ქართულ სპორტულ ფილმებზე მოგახსენებთ. ახლა კი, როგორც სპორტული ჟურნალისტი სპორტულ რეპორტიორს გეტყვით, რომ თქვენი სხვადასხვა სარბიელი დავთვალიერეთ. ძალიან მოგვეწონა ახალი საცურაო აუზების კომპლექსი, სანაპიროზე (იტალიელებს იმ დროისთვის ჯერ ნანახი არ ჰქონდათ „დინამოს“ სტადიონი და სპორტის სასახლე. ა. გ.). ჩვენი აზრით იგი ერთ-ერთი საუკეთესოა ევროპაში.

ა. გურასაშვილი.

სურათზე: (მარცხნიდან) ტუნეი, კარპანტიე და დემპსი.

ხელბურთი

უმაღლესი ლიგის ვაჟთა გუნდების საკავშირო ჩემპიონატის მეხუთე ტური დამთავრდა ყვარას ზაპოროჟეში, სადაც პირველ-მეექვსე ადგილებისთვის მებრძოლი გუნდები თამაშობდნენ.

აი, უკანასკნელი მატჩების შედეგები: ცსკა — ზას-ი — 26:23 (12:11), „გრანიტასი“ — მაი — 24:28 (14:12), „კუზბასი“ — ზაი — 16:12 (6:7), ზაი — „გრანიტასი“ — 25:24 (13:9), მაი — ცსკა — 24:26 (11:16), ზას-ი — „კუზბასი“ — 29:29 (17:13).

ამ ტურის შემდეგ გათამაშების ლიდერს ცსკა-ს 49 ქულა აქვს. ოთხი ქულით ნაკლები მოაგროვა მაი-მ.

* * *

ვილნიუსში დამთავრდა ქალთა საერთაშორისო ტურნირი ხელბურთში. ვადამწყვეტ მატჩში ერთმანეთს შეხვდნენ ოლიმპიური ჩემპიონი — სსრ კავშირის ნაკრები და მსოფლიოს ჩემპიონი — გდრ-ის გუნდი. ორი ქულის სხვაობით — 16:14 (8:7) გაიმარჯვეს სტუმრებმა და მთავარი პრიზი მოიპოვეს.

მაკეოსნობა

იტალიის ქალაქ ტრენტეში გამართულ მძლეოსანთა საერთაშორისო შეჯიბრებაში ევროპის წლეულდელი ჩემპიონატის ვერცხლის პრიზიორმა, იუგოსლაველმა ნ. სტეკანიმ სიგრძეზე ხტომაში წლეულს მსოფლიოში საუკეთესო შედეგი (8,32 მ) აჩვენა, ხოლო კონტინენტის ჩემპიონი, ფრანგი ჟ. რუსო მეორე ადგილს დასჯერდა — 8,18 მ. ევროპის ორგზის ჩემპიონმა, მასპინძელმა ბ. მენეამ 200 მეტრზე იმარჯვა — 20,48.

რედაქტორის მოადგილე ზ. ჯაფარიძე.

ბაზური ბამოდის ორველდღე, ბარდა ორშაბათისა და პარასკევისა. რედაქციის მისამართი: 380008, თბილისი, ლენინის ქ. № 14. დეპეშებისთვის — თბილისი, „ლელო“.
ტელეფონები: რედაქტორი — 99-56-14, 93-97-50; რედაქტორის მოადგილე — 99 56-17; პასუხისმგებელი მდივანი — 93-97-52; განყოფილებები: ფეხბურთის — 99-81-71, 93-97-58; ეკონომიკა ფიზკულტურული მუშაობის — 93-97-55; სპორტის პროპაგანდის — 93-97-51; მოსწავლე და სოფლის ახალგაზრდობის — 93-97-53; ქალაქის — 93-97-26; სამართალი — 93-97-62; წერილების — 93-97-54; კორესპონდენტები — 93-97-49; გამომძიებელი — 93-93-81; ფოტოლაბორატორია — 93 97-53; მენანქანეები — 93-97-57.